ხუთშაბათი, 8 თებერვალი 1907 წ.

ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი — № 28

გაზეთ «ისარი»-ს გამოცემა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ბეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და სადამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

სულმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაებეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რა. დაქცია არ ინახავს. ინახება ერთ-ორ თვის მანძილზე დიდი წერილები და მოთხრობები. წერილებით პასუხისთვის საჭიროა საფასურის გარგება. ბინაზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“.

გალაქტიონ ოქროპირის ძე გაჩეჩილაძე და **ზაალ ადამის ძე ვარსიმოვი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პირველის მეუღლის, ხოლო მეორის შვილის

ნინა გაჩეჩილაძის

სულის მოსახსენებლად ორმოცის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქმნება შაბათს, 10 თებერვალს, ფერისცვალების ეკლესიაში, სურამში.

(2—528—2)

სტეფანე პავლეს ძე ფეიქაროვი ცოლითა და შვილებით, და **ელისაბედ პავლეს ასული კურტოევისა** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალების საყვარელ დედის

ანნა სიმონის ასულის ფეიქაროვისას.

დაკრძალვა 10 თებერვალს. გამოსვენება დილის 10 საათზე, გენერლის ქუჩა, სა:. სახლი პანაშვიდიბი ყოველ დღე, საღამოს 6½ საათზე. (3—კვ.—1)



ძმათა ნიკიტინების ცირკი.

ხუთშაბათს, 8 თებერვალს, გაიმართება **საუცხოო დიდი წარმოდგენა** კიდევ რამდენიმე გასტროლი მთელ ქვეყანაზე ცნობილ ველოსიპედისტებისა **ძმ. ეფიმოვებისა.** მონაწილ ობას იღებს მთელი დასი. გამოსვლა შესანიშნავ არტისტების ძმების **ფილიპს. დიდი პანტონიმა „ბ ა ლ ე ტ ი“.** კასსა გახსნილია დილის 11-დან 2-მდე და 5-დან წარმოდგენის გათავებამდე.

ანონსი: 9 თებ. წარმოდგენა სართიჭალის და ყარაიაზის საბოჭაულის დამშეულთა სასარგებლოდ. მალე ჩამოვლენ შესანიშნავი ლილიპუტები კვირას, ორი წარმოდგენა.

დასაწყისი 8½ საათზედ. კამკა რ. ს. გაშსახურდია.

ძმ. საფარიანცისა და ტერ-საკოვის

შეკერილ ტანისამოსის

პარიჭის მაღაზიაში

გოლოვინის პროსპექტზე, ვაჟთა პირველ გიმნაზიის პირდაპირ

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

22 იან. რიდან 10 თებერვლამდე

ფასები ქარხნისაა და ზედვე დანიშნულია ლურჯი კარანდაშით.

ტელეფონი № 258. (6—514—6

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

ტფილისში

მუდმივის საზღლებით

(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მიღება კარედან მოსიარულე ავადმყოფებისა

მიხეილ აგაკანოვი: 11—12 ს. საშაოდე, კანისა და სნფილისი.

ი. ნ. ეგიაზაროვი: 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

გ. ბ. ფაფეევოვი: 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

ი. გ. ბეფეისოვი: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

ზ. ბ. ბიმოანი: 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

ბ. ბ. ბეიერი: 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი.

ი. ნ. თუმანოვი: 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით, დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—23)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—29)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ ბედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყოროლინოვის ქუჩა, სა:, სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—38)

ქალ. ხიდნაღლი

ექიმი ა. ა. ბაღაშვილი

1 თებერვლიდან იწყებს ავათმყოფების მიღებას, ნ. მირონაშვილის სახლში, ფოსტის ქუჩაზედ. (24—509—10)

ექიმი

ზ. ნ. მაზაკიანი

იღებს ავადმყოფებს შინაგან და ბავშვებისას სპეციალური ექიმია **კუჭისა და ნაწლავებისა.** ძიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პროს., № 36. სახ. ჯავჯანიძისა (25—25)

ვამზადებ **უმაწვილებს პირველ დაწყებით სასწავლებლებისათვის.** მსურველთ ვთხოვ მიჰმართონ ამ ადრესით: პარალელნი ქუჩა, სახლი ვლადიმირ პეტრ. გარციევისა (4—4)

კბილის ექიმი

ი. ზ. კანდელაკი

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, სწაულობს კბილებს, აკეთებს ჰლომბებს და სხამს ახალ ხელოვნულ კბილებს. იღებს დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპექტი, სახლი აბულაძისა, № 26. (25—ნ.—1)

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიული. დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყოროლინოვის ქუჩა № 14.

ლაქტო-ბაცილიანი რძე

მზადდება თანახმად პროფ. მეჩნიკოვის დარიგებისა პროვიზორ

ა. ს. კლეგანსკის

ქიმიკო-ბაქტერიოლოგიურ კაბინეტში

ვორონცოვის ქუჩის პირდაპირ.

ტელეფონი № 389. (100—51—67)

გამგეობა

ტფილისის მოსამსახურეთა ურთიერთდამხმარე საზოგადოებისა აცნობებს, რომ:

1) საზოგადოების კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 საათიდან დღის 2 საათამდე და 5-დან 8-დე საღამოსი;

2) იწვევს ყველა ამხანაგებს გამოცხადდნენ კანტორაში და ჩაეწერონ საზოგადოების წევრებად;

3) ერთდროული საწევრო შესატანი ერთი (1) მანეთი და ყოველთვიური 2½% ჯამაგირიდან;

4) კანტორა იმყოფება სასახლის ქუჩაზე, სათავად აზნაურო ქარიასლაში.

(7—523—4)

ქართული წარმოდგენა

სახალხო თეატრში

ხუთშაბათს, 8 თებერვალს, 1907 წ.

ბენეფისი ნ მ. გაგუნია-ცაგარლისა

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

დედაკაცის გრალია

კომ. 3 მოქ. თხზ. ნ. მ. გაგუნია-ცაგარლისა.

დივერტისმენტი

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

ტფილისი — **სათავად აზნაურო გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭო** აცხადებს, რომ **მოსამზადებელ კლასის უფროსს განყოფილებაში განთავისუფლდა** რამდენიმე ადგილი. ამ განყოფილებაში მისაღები ეგზამენები იქნება ხუთშაბათს, 8 თებერვალს, დილის 12 საათზე

თხოვნების მიღება ყმაწვილების მიღებაზე მოსპობილია. ეგზამენს დაიჭერენ მხოლოდ ისინი, ვისაც დღევანდლამდე შემოტანილი აქვს თხოვნა. (3—ნ.—3)

ეარტყოფის წმ. ანტონის მონასტრის დუქანი ოთახებით იძლევა ქირით. მსურველთ შეუძლიანთ ამ თავითვე პირობები გასინჯონ საქართველოს ექსარხოსის სასახლეში, ეკონომთან. (3—2)

გამოვიდა და დარიგდა გასასყიდად ახალი წიგნაკი ჰ. აკობიანი

„ხალხის მტერია სოციალ-დემოკრატია“.

ფასი 3 კაპ. (3—ნ.—1)

მიიღეთ ფული

ლვიდენლის დარიგების გასაადვილებლად სენაკის მეაბრეშუმეთა ამხანაგობის „შუამავლის“ გამგეობა თხოვს წევრთ მოგვაწვდინონ **ადრესები** 15 თებერვლამდე. (3—ნ.—2)

წერა-კითხვის საზოგადოების ეამეეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ 1906 წლის საზოგადო კრებამ **საწევრო გადასახადი** დააწესა

სამი მანეთი.

ამასთან ამავე კრებამ დაადგინა, დაემატოს „საზოგადოებრ.“ წესდებას ახალი მუხლი: „წევრობა ჩამოერთმევა იმ წევრს, რომელსაც ერთი წლის გადასახადი არ ექნება შემოტანილი და იგი ხელახლა იქნება მიღებული წევრად უკენჭოდ, როცა სრულად გადიხდის მაზე დარჩენილს საწევრო ფულს“.

ამ მუხლის ძალით, ვინც ამ 1907 წლის განმავლობაში **არ** შემოიტანს საწევრო ფულს, ის 1908 წლის პირველ იანვრიდან გამორიცხული იქნება წევრობიდან.

გამგეობა აუწყებს ამასვე „საზოგადოების“ აგენტებს და სთხოვს მათ, მოაგონონ წევრებს საზოგადო კრების დადგენილება და თავის დროზე შემოატანინონ საწევრო გადასახადი.

გამგეობას იმედი აქვს, **რომ,** რა-კი საწევრო გადასახადი შემცირდა, არავის გაუძნელდება მისი შემოტანა და ყოველი წევრი ეცდება მოაწოდოს თავისი წვლილი „საზოგადოებას“, მით უმეტეს, რომ უკანასკნელ დღეს მეტად შევიწროებულ მდგომარეობაში იმყოფება. (6—უ—2)

ხუთშაბათს, 8 თებერვალს **არტისტიულ საზოგადოების** შენობაში გაიმართება

ბალი

საკონცერტო განყოფილებით,

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ქბ. **ვან-ბრანდტი,** გ. გ. ბალბაშევსკაია, მ. ი. კლოპოტოვსკაია და ბ. ბ. ნიკოლაევი, კოგანი და ზიალკოვსკი.

ბალის შემოსავალი გადაიღება ტფილისში დასაარსებელ სპეციალიტეტნიკო ინსტიტუტის ფონდის გასაძლიერებლად.

საკონცერტო განყოფილების შემდეგ ნაჩვენები იქნება ს. ი. ივანიცკაიას თეატრის „ილლუზიონ“-ის სურათები და დასასრულ ბუნდოვანი სურათები—კარიკატურები ცნობილის შმერლინგისა. დაწვრილებით აფიშებში. დარბაზები ხელოვნურად მორთულ-გამშვენებული იქნება ბ. ბ. გრინევსკის, თოიძის და შმერლინგის ხელმძღვანელობით. ბალზე გამართული იქნება წაუგებელი ლოტარეია. დასაწყისი კონცერტისა 9 საათზე, ბალისა 11-ზე. სამხედრო პირთ უნდა ეცვას სამხედრო სერთუკი. სამოქალაქოთ—ფრაკი ან სერთუკი.

ბილეთების ფასი: ქალებისათვის 2 მ. 10 კ., მამაკაცთათვის 3 მ. 10 კ., სტუდენტებისათვის 1 მ. 10 კ. ვინც ბალზე შესასვლელ ბილეთებს აიღებს, ის თეატრში უფასოდ შევა. ვინც ნომრიან ანლიტერიან ლოჟების ბილეთებს იყიდის, ის ბალში უფასოდ შევა. ბილეთების ყიდვა შეიძლება გულასპოვების, ლოტის, მაიზელსონის, მასსიუს და ხიდდეკელის მაღაზიებში, ბალის დღეს-კი საღამოს 6 საათიდან საარტისტო საზოგადოების სადგომში. (1—უ.—1)

ტფილისი, 8 თებერვალი.

როგორც კი გამოირკვა, რომ არჩევნებზე ოპბოზიციამ გაიმარჯვა, მაშინვე მთელმა რეაქციონურმა პრესსამ განაახლა ბრძოლა საარჩევნო კანონის წინააღმდეგ, შეწყვეტილი არჩევნების დროს. რეაქციის პარტიებს იმედი ჰქონდათ, რომ სენატის განმარტებანი და მთავრობის რეპრესსიული დონისძიებანი საკმარისი კორრეკტივი იქნება «უვარგის საარჩევნო კანონისა» და გამარჯვებას არგუნებს მემარჯვენეთ. მაგრამ მწარე სინამდვილემ იმედი გაუცრუვა სტოლიპინსაც და მის მომხრე პარტიებსაც: სარევოლიუციო და საოპბოზიციო რუსეთს ვერაფერმა ვერ დაუშალა თავის მრისხანე მსჯავრის გამოთქმაში; ქვეყანამ საოპბოზიციო სათათბირო უმდენა მთავრობას და გამოუთქმელად დაადაფეთა ძველის რეჟიმის დამცველნი.

მთავრობა და მისი მომხრენი სრულიად დაბრმავებულნი რომ არ იყვნენ, მიხვდებოდნენ და დარწმუნდებოდნენ, რომ ქვეყნის უმრავლესობა მათი წინააღმდეგია, რომ ჯიუტობა საქმეს ვერ შველის, რომ დროზე დათმობა სჯობია. მაგრამ თვითმპყრობელობა კარგა ხანია დაბრმავდა და კიდევ აქვს იმედი, რომ ძალმომრეობით შესძლებს ძველის რეჟიმის დაცვას. ძნელია გადაჭრით იმის თქმა, რა პოზიციას დაიჭერს მთავრობა განმათავისუფლებელ მოძრაობის ახალ ხანაში, დაუთმობს თუ არა უფლებას ახალ სათათბიროს, გაბედავს კიდევ იმის გარეკას თუ არა. მაგრამ მთელი ისტორია თვითმპყრობელ ბიუროკრატიისა, მთელი მისი მოქმედება წარსულსა და აწმყოში და ბოლოს რეაქციონურ პრესსის განგაში არჩევნების შედეგის გამორკვევის შემდეგ გვიმტკიცებენ, რომ მთავრობა არ აპირებს თავის პოლიტიკის შეცვლას.

ამ მხრით სიმპტომატიური მნიშვნელობა აქვს გაზეთ «ნოვ. ვრ.»-ს ადსარებას. როგორც იცით, «ნოვ. ვრ.» არა ოფიციალური გამომხატველია მაღალ ოფიციალურ წრეების და სახელმწიფოს სათავეში მდგომ მთავრობის მისწრაფება-პლანებისა. განსაკუთრებით საყურადღებო მომენტებში სუვორინის გაზეთი საზოგადო დირეკტივას იღებს ვისგინაც ჯერ არს და მთელს ფრონტზე იწყება ბრძოლა. გუშინ ტფილისში მიღებულ ამ გაზეთის ნომრიდან ნათლად ვხედავთ, რომ მთავრობა, თუმცა დაბნეული და სულით დაცემული, როგა დარწმუნებული ოპბოზიციის გამარჯვებაში, მაგრამ მაინც არ აპირებს იარადის დაყრას. მართალია ვითომ კიდეც გრძნობს, რომ ცოტას დათმობა საჭიროა გახდება, მაგრამ ცხადია, უფრო მეტის მიღება ჰსურს სათათბიროსაგან, ვიდრე მიცემას აპირებს. დაახლოვებით რომ გაიგოთ, რას ჰფიქრობს დღეს მთავრობა, წაიკითხეთ შემდეგი ადგილი „ნოვ. ვრ.»-ს წერილიდან არჩევნების შედეგის გამო.

«მთავრობაო, დიდის რიხით გვამცნობს «ნოვ. ვრ.», ისევ დარჩება მის უდიდებულესობის მთავრობა და არ გახდება სათათბიროს აგენტად. მთავრობის მხარეზეა დიდი ჯარი, რომლის უზენაესი სარდალი ხელმწიფე იმპერატორია და ესევე იმპერატორი მთავრობის ერთადერთი უფროსი. გარდა ამისა მთავრობის განკარგულებაშია თუმცა ცუდათ მოწყობილი, მაგრამ მაინც მაგარი თავის ტრადიციებით პოლიციური მეხანიზმი და, საზოგადოთ, თუმცა «დამბალი», მაგრამ საკმაოდ თამამი ბიუროკრატია. ეს პირველი პირობებია, რომელთაც მეუძლიანთ გამოიწვიონ მეორე სათათბიროს დათხოვნაც, თუ იგი არ მოისურვებს ძირითად კანონების საზღვრებში დარჩენას»... ამბობენო, განაგრძობს ცოტა ქვევით გაზეთი, რომ სათათბიროს აპირებს პასსიურ ოპბოზიციის გაწევას. მაგრამ ნუ დაივიწყებს, რომ არის საქმეები, რომელთა გადაწყვეტა აუცილებლად საჭიროა. თუ დამშეულთა დასახმარებლად ფულია საჭიროა, სათათბიროს კრედიტი უნდა გაუხსნას მთავრობას; თუ ფული საჭიროა იქნა სახელმწიფოს ვალდებულებათა დასაფარავად, ამისთვისაც უნდა იქნას გადადებული ფული. თუ ამის მაგიერ სათათბიროს წარუდგენს მთავრობას გონივრულ ბირობებს, მთავრობა მათ დაკმაყოფილებს. ხოლო თუ სათათბიროს სთქვა—კრედიტებს დავამტკიცებ, მაგრამ მთავრობა გადადგეს და უფლება მე გადმომცეს ან კიდევ პოლოგნეთს ავტონომია მივინიჭოს, მაშინ მთავრობა უეჭველად იტყვის—არაო და ხელმწიფეც იძულებული იქნება სათათბიროს კვლავ დათხოვოს»...

როგორც ჰხედავთ, აქ ყველაფერი არის: მუქარაც, იდუმალი განზრახვაც, მომავალ მინაურის პოლიტიკის მიმართულებაც. «ნოვ. ვრ.» ურცხვად ამბობს—ჯარი და პოლიცია მთავრობის მხარეზეა და თუ საზღვარს გადასცილდებით,' ისევ დავითხოვთ სათათბიროსაო; ხოლო ეს საზღვარი არის—20 თებერვლის ძირითადი კანონებიო. აქ გადაჭრით უარყოფილია მთელის საოპბოზიციო რუსეთის მოთხოვნა, რომ მართვა-გამგეობის სათავეში სათათბიროს წინაშე მასუხისმგებელი სამინისტრო ჩადგეს და ამასთანავე მტკიცედ აღნიშნულია ის აზრი, რომ მთავრობა ფეხს არ მოიცვლის 17 ოქტომბრის შემდეგ არჩეულ პოზიციიდან, ესე იგი, დაიცვას თვისმიერ შექმნილ მახინჯ დაწესებულებას, რომელსაც დასავლეთ ევროპაში მოხერხებულად უწოდეს «თვითმპყრობელი კონსტიტუცია»,

ამრიგად, როგორც სჩანს, ისევ დაიწყება სასტიკი ბრძოლა სახალხო წარმომადგენლობისა და ბიუროკრატიულ მთავრობის შუა. მთავრობა პირდაპირ არ ამბობს—რა გზას დაადგება, მაგრამ მის მაგიერ სარეაქციო პრესსა ამჟღავნებს, რომ მთავრობა იძულებული იქნება ისევ ფიზიკურ ძალას დაეყრდნოს; სახალხო წარმომადგენლობის მხარეზე-კი ისევ ზნეობრივი და საზოგადოებრივი ძალა იქნება. ამ უკანასკნელ შვიდ თვეში ხალხი პოლიტიკურად უფრო მომწიფდა, უფრო გამოიცადა და, ეჭვს გარეშეა, მეტ ენერგიასაც გამოიჩენს სათათბიროს გარედან გამაგრებისა და დაბმარების გაწევის საქმეში. ყოველ შემთხვევაში მეტად საინტერესო და დიდმნიშნელოვანი ხანა დგება და ახლო მომავალი გვიჩვენებს, რა მიმართულებას მიიღებს განმათავისუფლებელი მოძრაობა.

არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში

ჩ ვ ე ნ ზ ი

შეკითხვა. გუშინ, 7 თებერვალს, გუბერნატორი შეეკითხა ტფ. ქალაქის თავს, შეატყობინოს, რომელ პოლიტიკურ პარტიას ეკუთვნის ტფილისში დეპუტატად არჩეული არშაკ ზორაბიანცი.

—

დეპუტატების არჩევნები ქუთაისში. 6 თებერვალს ოლქის სასამართლოს შენობაში შეიკრიბა მრავალი ხალხი და მათ შორის ამომრჩეველნიც. 11½ საათზე გუბერნიის მარშლის თანამდებობის აღმასრულებელმა თ-დ დავით ნიჟარაძემ მიიწვია ამომრჩეველები მათ გვარების ამოკითხვით სიაში. თუმცა ს.-დემოკრატებს დიდი უმრავლესობა ჰყავდათ ამომრჩეველთა შორის, მაგრამ მაინც ყოყმანობდნენ—მივიღოთ თუ არა მონაწილეობა არჩევნებშიო. ამისი მიზეზი ის იყო, რომ ამომრჩევლებს არა ჰქონოდათ მოწმობა მათის პიროვნების შესახებ და გარდა ამისა სათათბიროში გასაგზავნ ერთ-ერთ კანდიდატს, სახელდობრ მახარაძეს, თუმცა გამოეგზავნა განცხადება თავმჯდომარის სახელობაზე, რომ თანახმა ვარ კენჭის ყრაზე, მაგრამ განცხადება შემოწმებული არ იყო და ვაი თუ, ფიქრობდნენ ს. დ., თავმჯდომარემ არ იყაბულოს ასეთი განცხადებაო. რა-კი გამოირკვა, რომ ეს გარემოება საქმეს არ დააბრკოლებს, ამომრჩეველებმა თავ-თავიანთი ადგილი დაიჭირეს დარბაზში. ამომრჩეველთაგან გამორიცხულ გრ. ლორთქიფანიძის მაგივრად, გუბერნიის საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილობით, მოწვეულ იქმნა ბ-ნი მოსე ქიქოძე. გამოცხადდა სულ 43 ამომრჩეველი; აკლდა მხოლოდ ორი ამომრჩეველი გურიისა—ბ-ნნი მახარაძე და ლომთათიძე.

კრების თავმჯდომარემ დამსწრეთ მიმართა მოკლე სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა, რა დიდი მნიშვნელობა აქვს სათათბიროს არჩევნებს საზოგადოდ რუსეთისათვის და კერძოდ ჩვენი ქვეყნისათვის და შეკრებილთ ურჩია, ნუ გაგიტაცებთ ვიწრო პარტიული მისწრაფებანი არჩევნების დროს და იხელმძღვანელეთ ჩვენი ქვეყნის და ხალხის ბედნიერებით და კეთილდღეობითაო.

შემდეგ ამისა კანდიდატებად დაასახელეს შემდეგი პირნი:

ირაკლი წერეთელი . . .	35	ბარათი
გერასიმე მახარაძე . . .	35	„
ილია კობალეიშვილი . .	34	„
გიორგი ზდანოვიჩი . . .	9	„
კიტა აბაშიძე	6	„
მოსე ქიქოძე	5	„

პირველი სამი კაცი, მკითხველიც მიხვდება, ეკუთვნიან ს. დემოკრატიულ პარტიას და დანარჩენნი — ს. ფედერალისტებისას. ბ-მა გიორგი, ზდანოვიჩმა განაცხადა თანახმობა კენჭის ყრაზე და სთქვა: თუმცა მე კარგად ვიცი, უმრავლესობა ვის ეკუთვნის და თუ ამ პირობებში კენჭის ყრაზე თანახმობას ვაცხადებ, ამას მაიძულებს მოქალაქობრივ მოვალეობა ჩემი ამომრჩევლების წინაშეო. ბ-ნი აბაშიძე და ქიქოძე შეუერთდნენ ბ-ნ ზდანოვიჩის **განცხადებას** და დაიწყო კენჭის ყრა. ეჭვი არავისა ჰქონდა, რომ ს.-დემოკრატების კანდიდატები დიდის ხმის უმეტესობით იქნებოდნენ არჩეულნი, მაგრამ ოლქის სასამართლოში შეკრებულ ხალხს დიდი მოუთმენლობა ეტყობოდა. გარდა ამისა, ხალხში გავრცელდა ხმა, რომ არჩევნების შემდეგ რამდენისამე ამომრჩეველს დაატუსაღებენ და მათ შორის ბუდუ მდივანსაოცაო. მართლაც ოლქის სასამართლოს მრავალი პოლიციელი და ყაზახი შემოერტყა და გასავალი კარები დაიჭირა.

ჯერ კიდევ კენჭის ყრა გათავებული არ იყო რომ თავმჯდომარემ დეპეშა მიიღო ლომთათიძისაგან რომელიც აცხადებდა სურვილს დეპუტატობაზე კენჭი ყრაზე.

გათავდა კენჭის ყრაც; თავმჯდომარე თვლას შეუდგა.

ირაკლი წერეთელმა მიიღო	34	თეთრი	8	შავი,
გერასიმე მახარაძემ . „	34	„	9	„
ილია კობალეიშვილმა „	32	„	11	„
გიორგი ზდანოვიჩმა . „	9	„	33	„
კიტა აბაშიძემ . . „	8	„	34	„
მოსე ქიქოძემ . . „	8	„	34	„

დასდგეს ლომთათიძეს ყუთი. კენჭის ყრა მ ლე გათავდა და დათვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მან თავის ამხანაგებთან შედარებით ყველაზე მეტი თეთრი კენჭი მიიღო. 34 თეთრი და 7 შავი. (კენჭის ყრის დროს ერთ ს. დ. ამომრჩეველი დარბაზში აღარ იყო.) ამ ნაირად დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლად სახელმწიფო სათათბიროში არჩეულ იქმნენ სოციალ-დემოკრატების კანდიდატები: ჭოლა (ვიკენტი) ლომთათიძე, ირაკლი წერეთელი და გერასიმე მახარაძე. ბ-ნ ლომთათიძეს არჩევამ მეორე კენჭის ყრის დროს, ე. ი. იმ დროს, როცა ს.-დ. სამივე თავის კანდიდატი არჩეულ ჰყავდათ დიდის ხმის უმეტესობით, გაამართლა ის ხმები, რომ კანდიდატებად დასახელებულნი იყვნენ ბ-ნი წერეთელი, მახარაძე და ლომთათიძე და თუ პირველსავე კენჭის ყრის დროს უკანასკნელს ყუთი არ დაუდგეს, ეს იმისი ბრალია, რომ მისგან არ ჰქონდათ მიღებული თანხმობა კენჭის ყრაზე.

რუსეთში

(დეპეშათა სააგენტოსაგან)

სათათბიროს დეპუტატების არჩევა. არჩეულ იქმნენ შემდეგი დეპუტატები: არხანგელსკის გუბერნიაში ი. ა. ლებედევი, უპარტიო მემარცხენე, მომრიგებელი მოსამართლე, უმაღლეს სწავლა გათავებული. გ. ს. მიხაილოვი, კადეტებს მომხრე, გლეხი, სოფლის სკოლა გათავებული; ასტრახანის გუბერნიაში ვ. ა. ბელიაევი—შრომელთა ჯგუფისა, ვაჭარი, ქალაქის სკოლა გათავებული. ვილნოს გუბერნიაში მ. ა. ვენსლავსკი—ნაციონალისტი, ქალაქ. ს თავი, პოლონელი. ვორონეჟში ა. ი. შიგნაროვი—კადეტი, ექიმი. ეკატერინოსლავის გუბერნიაში გლეხი ტ. ნოსიკი, უპარტიო მემარცხენე. ქ. ყაზანში მ. ი. კაპუსტინი, ოქტომბრისტების ლიდერი, პროფესორი, ექიმი 60 წლისა; კალუგის გუბერნიაში გლეხი ი. ი. სოპლიკოვი, მონარქისტი. ქ. კიშინევში პ. ა. კრუშევანი, მონარქისტი. ქ. კიევში ეპის. პლატონი სას. კად. რექტორი, მონარქისტი. მოსკოვის გუბერნიაში პ. აფანასიევი იგივე სმირნოვი მემარცხენეთა თანამოაზრე მიწის მუშა. ქ. მოსკოვში თავ. პ. დ. დოლგორუკოვი უმაღ. სწ. მიღებული. ა. ა. კიზევეტერი, აზნაური, მოს. უნივ. პრივ. დოცენტი. ვ. ა. მაკლაკოვი, ნაფ. ვექ. აზნ.; ნ. ვ. ტესლენკო, ნაფ. ვექ. აზნ., ოთხივე კადეტი. მუშათა წარმომადგენლებმა ოთხიდან ორი ადგილი მოითხოვეს და, როცა უარი მიიღეს, ყველანი (19 ამომრჩეველი) გავიდნენ და პროტესტი განაცხადეს წერილობით. კოვნოს გუბერნიაში გუდოვიჩი, ნაფ. ვექ. უკიდურ. მემარცხენე, ლიტველი. ქ. კურსკში დოლჟენკოვი, კადეტი დეპ. ნამყოფი, ექიმი. პლოცკის გუბერნიაში კონიცი, პროგრ. დემოკრატი და ბოგოიავლენსკი, მემამულე, პოლონელი, სახ. უფლ. ჯგუფი; დონის-როსტოვში აჯემოვი, კადეტი ნაფ. ვექილის თანაშ. სომეხი; რიაზანის გუბერნიაში სოროკინი, უპარტიო, მემარცხენე, მემამულე; სარატოვში ბერეზინი, შრომ. ჯგუფისა, ჟურნალისტი; სუვალსკის გუბერნიაში ბულაუ, ლიტოვსკი, ორივე ნაფ. ვექ. ნაც. დემოკრატი, და ლეონასი; ტავრიდის გუბერნიაში შჩერბახა, მემარცხენე გლეხი; ტამბოვის გუბ. კისელევი, შრომის ჯგუფ. გლეხი; ქ. ტულაში ვორონცოვ-ველიამინოვი, ოქტომბრისტი; სათ. წევრად ნამყოფი თავ. გ. ლვოვი გაამაგეს; ხარკოვის გუბერნიაში ლოპატინი, მემარცხენე, გლეხი; დაღესტნის ოლქში სულტანოვი და კარდაშევი მაჰმად. მემარცხენე; ქ. იაროსლავში ბობინი, კადეტი პრივ. დოცენტ.; ესტლიანდიის გუბ. იურინე, რადიკალი, ესტონელი, უმაღლ. სწავ. მიღებ.; მურტენი, რადიკალი, ესტონელი და პიარლენი, სოც.-დემ. ესტონელი მღებავი; სარატოვის გუბერნიაში ნოხინი (?), მემარცხენე გლეხი; პეტერბურგის გუბ. ლიპპიანომი, შრომის ჯგუფ. ფინლიანდიელი; ვ. გესსენი, კადეტი, პრივ.-დოცენტ., ებრაელი; ი. პეტროვი, სოც.-დემ. მუშა; სიმბირსკის გუბერნიაში სიტინი, გლეხი, ექიმი კარ. ტაშოვი, მასწავლებელი ზიმინი, მოლა ნემეტდინოვი, ბუხჰალტერი მ. თათარინოვი, მოვაჭრე ა. კუზნეცოვი, ექვსივე სოც.-დემ. თანამგრძნობნი არიან; სტავროპოლის გუბ ეფრემოვი და კარელინი მემარცხენე გლეხები; სედლეცის გუბერნიაში სახ. სათ. წევრად ნამყ. ბელისკოში და ბრიანზაკი— ორივე სახ. უფლებ. და ნაფ. ვექ. სურდერლანდი, პროგრეს. ნაციონალ. პოლონელი; ტაშკენტში ნალივკინი, კადეტი, დეის. სტატ. სოვეტ. ვიც-გუბ. ნამყოფი, ამ მხრის ცნობილი მკვლევარი; ტვერის გუბერნიაში სახ. სათ. წევ. ნამყოფნი კუზმინ-კარავაევი და როდიჩევი, ორივე კადეტი, ბოგჟანოვი, მუშა, სოც. დემ., კუზნეცოვი, გლეხი შრომ. ჯგუფ., ბიკოვი შრომ. ჯგუფ. ექიმი, ბაკუნიანი ნაფ. ვექ., დემიანოვი, სახალ. სოციალისტი, ტოლმაჩევსკი შრომის ჯგუფისა, გადასახლებულია; მეორე კორესპონდენტის ცნობით აირჩიეს: ტოლმაჩევსკი, ბოგჟანოვი, კუზნეცოვი, ბიკოვი და დემიანოვი—სოც. დემოკრატები; ტფილისის გუბერნიაში—ა. ჯაფარიძე, პუბლიცისტი, ს. ჯუღელი, ლიტერატორი და კაციაშვილი, გლეხი, ყველა სოც. დემ.; ქ. ტფილისში—ა. ზურაბიანცი სოც. დემ; თერგის ოლქში (ყაზაკებმა) ყარაულოვი, ასის თავი, უმაღ. სწ. მიღ., მონარქისტი, დემოკრატი, თერგის ოლქის დანარჩენ მცხოვრებლებმა სახ. სათ. წევ. ნამყოფი გორბუნოვი, ექიმი, ელდერხანოვი, ჩეჩენი, ორივე კადეტი: იაროსლავლის გუბერნიაში ლავროვი ზომუპარტიო, გლეხი, ტუჩკოვი კადეტების თანამოაზრე, პუშავნიკოვი მაზრ. თავ. აზნ. წინამძღ. უპარ. მემარცხენე, ვაულინი, კადეტების თანამოაზრე; ლიუბლინის გუბერ.—სახ. სათ. წევ. ნამყ. იამსტეცკი, გემპელი, პლავანსკი, სლავინსკი, აზნ., ჟაკი, გლეხი, ყველანი სახალ. უფლ. ჯგუფისანი არიან; კურლიანდიის გუბერნიაში—ბურკევი, ზომ. პროგ. ლატიშელების საზ. მოღვაწე; ჩერნომორის გუბ. გერუსი, სოც.-რევ., მასწავლებელი, გლეხი, შირსკი, სოც.-დემ. ნაფ. ვექ.; დონის ოლქში—ი. უშაკოვი, კაზაკი, მასწ., უპარტიო; ორლოვის გუბერნიაში—დეპ. ნამყ. მ. სტახოვიჩი, მშვიდ. განახ., კარგოვი, უპარტიო, გლეხი; ბესარაბიის გუბერ —მელენჩუკი, გლეხი, მონარქისტი; კალუგის გუბ.—ტერეტევნიკოვი, მონარქისტი, სამაზ. გამგ. თავმჯდ., შეპელევი, მონარქ., შეშმინცევი, ოქტ., სოროკინი, გლეხი, მემარჯვენე; ვლადიმირის გუბ.—სიტნეკოვი, პროგრეს., იორდანსკი, კადეტი, ვექ.; ვილნოს გუბ.—პილენკო, გლეხი, უპარტიო, როდზევიჩი, კათ. მღვდელი, გრაფი ლ. პუტკამერი, ხელოვსკი, ვანკოვიჩი, ოთხი უკანასკნელი ზომიერი ნაციონალისტია, აზნ.; ვარშავის გუბ.—კათ. მღ. გრალევსკი, გრამსკი, გლომანცკი, პოვცა, პეხოვსკი, ყველანი სახ. უფლებ. ჯგუფარიან; ვორონეჟის გუბ.—კუზნეცოვი, პროგრ. ექიმი, შჩერბინა, კადეტი; ვიტებსკის გუბ.—ბიკოვი და პეტროჩენკო, ზომიერი მემარჯვენეთან დაახლ. გლეხები, ბურმეისტერი, მემარჯვენე, აზნ., გ. დემშა ექიმი, ბენისლავსკი, დანიის ელჩი პეტერბურგში, ორივე პოლონელი ნაციონალისტები, კაზრიჩი, ლატიში, ზომიერი, პროგრეს.; რიაზანის გუბ. — სალაზვინი ბუნ. მეტყ. კანდიდ., სმაგინი, მოვაჭრე, ბოგდანოვი, გამგ. წევრი, უსპენსკი, ექიმი, ყველანი მემარცხ. არიან; კიევის გუბ. ნეჩიპაილო, გლეხი, მემარცხენე; განჯის გუბ. ხასმამედოვი და ხოისკი ფატალიხანი, ორივე კადეტი, პროკურორის ამხანაგები, და ტერ-ავეტიკიანცი, დაშნაკცაკანი; სმოლენსკის გუბ. ხომიაკოვი სახ. საბჭოს წევრი, ოპოჩინინი, თავ. აზნ. წინამძღ., ტანიევი, საგუბ. საკრ. წევრი, გაზ. რედაქტ., ყველანი ოქტომბრისტები არიან, კრასნოშჩეკოვი ქალაქის სტაროსტა, ვაჭარი, მონარქისტი; კუზნეცოვი, უპარტიო, მემარჯვ., გლეხი; ფედოროვი მემარჯვენე გიორ. კავალერი; ყაზანის გუბ. ტალანცევი, ვაჭარი, უმაღ. სწ. მიღ., პეტრუხინი, გლეხი, ორივენი შრომის ჯგუფს ემხრობიან; კუშნიკოვი, ექიმი, მაქსუდოვი, გლეხი, მაჰმად. უმაღ. სწ. მიიღო სობრონაში, ორივე კადეტია; ბატუროვი, ფედოროვი, ჩუვაში, უპარტიო, მემარცხენე; მაკჩიუტოვი, მუსინი, მოლა—ორივე მუსულ. პროგ. კავშ., ბადამშჩინი, შრომ. ჯგუფ. დეპ. ნამყოფი, გლეხი; მინსკის გუბერნიაში მელნიკი, მიწ. მუშა; იაკუბოვიჩი მღვდელი, შიმანსკი, გლეხი მემამულე; გავრილჩიკი გლეხი, ყველა ოქტომბრისტი; ლოშკარევი პრეობ. პოლ. ოტსტ. პოლკოვნიკი; ი. ს. ივაშჩენკო, ტაინ. სოვეტ. პეტერ. სარევიზიო კომისიის (?) თავმჯდომარე; გრუდინსკი, სოფლის მწერალი ყველა ოქტომბრისტები; რემენჩიკი, გლეხი, უპარტიო, მემარჯვენე, კრესკოვსკი, უპარტიო, აგრარულ კითხვებში შრომის ჯგუფის თანამოაზრეა. ქ. ბაქოში—ი. თაღიევი, პროგრ. მაჰმადიანი; კალიშის გუბ. ა. ფარჩევსკი, ნაფ. ვექილი; ი. სუხორჟევსკი, მემამულე; ს. ვესელოვსკი, კათ. მღვდელი, ყველა პოლონელები ნაც. დემოკრატებია; ფარჩევსკი და სუხობეჟევსკი დეპ. იყვნენ; კოვნოს გუბ. აბრამსონი, კადეტი, ებრაელი, ნაფ. ვექ.; კუბოტასი, მემარცხენე, ლიტვინელი, ნაფ. ვექ. თანაშემწე; სტარშინსკი, უპარტიო, მემარცხენე, ლიტვინელი, კუმელისი, მემარცხენე, ლიტვინელი, პოველისი, მემარცხენე, ლიტვინელი; ქუთაისის გუბ. ი. წერეთელი, გ. მახარაძე, ვ. ლორთქიფანიძე, ყველა სოც.-დემ. ქართველები; კელეცკის გუბ. დეპ. ნამყოფ. იარონსკი ნაფ., გრაფი გ. რ. პოტოცკი; ი. ბელიანსკი, გლეხი, სახალ. უფლ. მოსკოვის გუბერნიაში ჩელნოკოვი, ქალ. ვაჭრეობ. წევრი, გოლოვინი, მოსკოვ. საერობო გამგ. თავმჯდომარე (?), ორივე კადეტია, გუბარევი, ვაჭარი, ორი ეს

უპარტიო მემარცხენე —	25
პროგრესისტი — —	15
დაშნაკცაკანი — — —	1
კადეტი — — —	28
მშვიდ. განახლ. პ. —	1
რეალურ პოლ. — —	1
ოქტომბრისტები — —	15
მონარქისტი — — —	8
უპარტიო მემარჯ. —	3
პოლონეთის ნაც. პარტიების	34
გამოურკვეველი — —	6
სულ —	172
ამათგან მემარცხენე სულ	106
მემარჯვენე — — —	26
პოლონელები — —	34
გამოურკვეველი — —	6

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** მიცემულ იქმნა სამხედრო-საველე სასამართლოში გორის მაზრის მცხოვრები დავით ალბორაშვილი. ჰბრალდება პოლიციისა და ყაზახებისათვის წინააღმდეგობის გაწევა. ვიატკის გუბერნიაში სამის წლით იგზავნება დუშეთის მაზრის სოფელ წიწამურის მცხოვრები იოსებ ხიზანაშვილი. დაიკეტა სომხის ბაზარში ბანქოს თამაშისათვის რესტორანი ვლ. მაჭაიძესი. ეტაფით იგზავნებიან გურჯაანელნი სოლომონ გოჩიაშვილი, ვანო ჩუგოშვილი და სოსიკო აშკარელაშვილი.

✦ **სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება.** 11 თებერვლისათვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია კრება „სახალხო უნივერსიტეტების“ საზოგადოებისა. უნდა აირჩიონ გამგეობა.

✦ **ვ. გუნია.** ტფ. საარტისტო საზოგადოების წევრმა მ. ა. ჯაბარმა გუშინ განცხადება შეიტანა ხსენებულ საზოგადოების საბჭოში და აცნობა ქართულ სცენის მოღვაწის და დამსახურებულ არტისტის ვალერიან გუნიას გაჭირვებული მდგომარეობა. როგორც ვიცით, ვ. გუნია ავად არის და ხანგრძლივი ექიმობაა საჭირო. ბ-ნი ჯაბარი სთხოვს საზოგადოების საბჭოს, ფულით დახმარება აღმოუჩინოს.

✦ **განმანათლებელი საზოგადოება.** ტფილისში ამ რამდენისამე ხნის წინად დაარსდა ესრედ წოდებული განმანათლებელი საზოგადოება, რომელსაც აზრადა აქვს ხელი შეუწყოს სკოლების გარეშე დარჩენილ ახალ-გაზდობის განათლების საქმეს. ამ საზოგადოების გამგეობამ გუშინ სთხოვა ქალაქის გამგეობას, 1000 მანეთით დახმარება აღმოუჩინოს. ამავე საზოგადოებამ სთხოვა ქალაქის გამგეობას, საზოგადოების წარმომადგენელთაგანი ჩარიცხულ იქმნას ზუბალაშვილის სახელობის სახალხო კომისიაში.

✦ **დარაჯის მოკვლა** ევლახის საფოსტო გზაზე აღდაშისა და ხოჯიალაბის შუა მოჰკლეს საპოლიციო დარაჯი ალექსანდროვი. (საად.).

✦ **მიწის ძვრა.** 6 თებერვალს მიწა იძრა. მიწის ძვრა კარგა ხანს გაგრძელდა.

✦ **ზარალი ცეცხლისაგან.** ბათუმში მანთაშოვის ქარხანაში დაიწვა და გაფუჭდა 100,000 ნავთის ყუთი. ზარალი 300,000 მანეთამდეა. სახელოსნო და სამექანიკო განყოფილებანი გადარჩა ამიტომ მუშაობაც ჩქარა განახლდება. ცეცხლი ალბად უკმაყოფილო მუშამ მოუკიდაო, გადმოგვცემს საგენტოს დეპეშა.

✦ **მკვლელთა ვერ აღმოჩენა.** როგორც ვწერდით ოთხი შეიარაღებული კაცი შეუვარდა ბოქაულად ნამყოფს ლოლაძეს და იმის შვილის ტარასი ლოლაძის მცველს შაქაროვს თავი მოსჭრეს და წაიღეს. პოლიციამ ყოველივე ღონე იხმარა, მაგრამ ვერსად იპოვნა მოკრილი თავი და ვერც მკვლელნი აღმოაჩინა.

✦ **შუამდგომლობის არ შეწყნარება.** ტფ. გენერალ-გუბერნატორმა არ შეიწყნარა სარდაფებისა და სხვა ამგვარ დაწესებულებათა პატრონების შუამდგომლობა, პატენტების აღების ვადა 1 მარტამდე გადაიდოს.

✦ **ახალი წიგნი.** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიამ გუშინ მოსკოვიდან მიიღო ალექსანდრე ხახანაშვილის ახალი წიგნი „Очерки изъ исторіи грузинской литературы XIX вѣка“. წიგნი ღირს 3 მან. 50 კ.

✦ ტფ. რკინის გზის მეთვალყურე კომისიას 6 თებერვალს სხდომა ჰქონდა, რომელზედაც მოიწვია უსახელო საზოგადოების დირექტორი ფრიდმანი და შეუდგა კამოკვეთას ტრამვაის უწესოდ მიმოსვლის მიზეზისს. კომისიის წევრებმა კამოსთქვეს, რომ ვაგონები ჩქარად ერთის მხრით მიდიან „ცარიელნი, რის გამოც უკან მობრუნებამდე მთელ ნახევარ საათში ფრიდის ხალხიო. დასახელეს აგრეთვე სხვა ნაკლულევანებანი, მაგ. ჩქარად ვაგონების გაფუჭება და მოძრაობის შეჩერება და სხვ. დირექტორმა კომისიას აღუთქვა, ეოველსაგე დონეს ვიხმართ, რომ შიმოსვლა მოწესრიგდესო.

✦ ტფ. ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ განიხილა მუსულმან ქალებისთვის სასწავლებლის დამაარსებელის ქ-ნ ასპიროვის შუამდგომლობა, რომ ადმოუჩინოს ეოველ წლიური დახმარება. კომისიამ დადგინა, სთხოვოს საბჭოს, გადასდოს ამ სკოლისათვის წლურად 500 მანეთი.

✦ რკინის გზის სამართველომ სთხოვა ქალაქის გამგეობას, აპა თებერვლის 15 დღიდან შეაჩეროს მუშტაიდის ქუჩაზე რკინის გზის მეორე ლიანდაგზე ელექტრონის ვაგონების მოძრაობა, რადგანაც სამართველოს უნდა, ამოჭყაროს ამ ქუჩაზე გაყვანილ წყლის მილის თუჯის მილებიო.

წარჩინებული გლეხი შვილობა.

დღევანდელმა ხალხის მოძრაობამ სხვათა შორის ადამიანთა ახალი დარგი შექმნა, რომელიც წინა დროებაში არარაობ-

---

მდგომარეობას 1879 წლამდის. მართალია, ბატონყმობა მოისპო და ყველა თემს აქვს თავისი მიწა, მაგრამ მიზომილი მიწები (ნადელები) ისე ცოტაა და ადგილ-ადგილ ისე მშიერი, რომ გლეხების სამი მეოთხედი აუტანელ გადასახადების და ბეგარების გამო დიდ სიღარიბეშია ჩავარდნილი. მოუსავლიან წლებში დიდი შიმშილი მძვინვარებს და დიდძალი ხალხიცა სწყდება შიმშილით. მაგრამ წავიდა ის დრო, როცა გლეხები მოთმინებით იტანდნენ ამდენ უბედურებას.

ახალი იდეები და მისწრაფებანი უკეთეს ცხოვრებისადმი ძალიან სწრაფად ვრცელდება სოფლებში. გლეხები დღითი დღე ელიან იმ დროს, როცა იმათ შეეძლებათ მთელი მიწები ხელში ჩაიგდონ. ყველგან გლეხთა აჯანყება დაიწყო, უკმაყოფილება მატულობს და საკმაოა რაიმე პოლიტიკურმა ცვლილებამ შეარყიოს მთავრობის ძლიერება, რომ მშიერ გლეხთა შორის საშინელმა აგრარულმა მოძრაობამ იფეთქოს. აჯანყება მთელ რუსეთს მოედება, წლობით გაგრძელდება და, დაღალავს რა ჯარსა და მთავრობას, მოუმზადებს ნიადაგს დიად რევოლიუციას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექმნება მთელის ევროპისათვის.

თუ აგრარული საკითხი ყველა ამ ქვეყნებში გამწვავდება, თუ იქ მიწების ექსპროპრიაცია მოხდება, და თუ მთელს ძველ ევროპას გლეხების აჯანყება ცეცხლის რგოლივით შემოერტყმება, ნუ თუ ყველა ეს ევროპის ცენტრზე არ იმოქმედებს, იმ ცენტრზე, რომელსაც განათლებულ ქვეყნებს უწოდებენ? ამაში არავითარი ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, თუ ჩვენ კარგად გავიცნობთ აგრარულ გარემოებას ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში და შვეიცარიაში, თუ ყურადღებას მივაქცევთ მძლავარ გავლენას ახალ ელემენტისას, რომელიც აიძულებს ინგლისს განგაშის ცემას, თუ დაუკვირდებით ახალ იდეათა და მისწრაფებათა, რომლებმაც ფეხი მოიკიდეს გლეხებში, დავრწმუნდებით, რომ აგრარული საკითხი თხოულობს დაუყოვნებელ გადაწყვეტას მთელს ევროპაში: როგორც რუსეთსა, ისე ინგლისში, როგორც იტალიასა, ისე საფრანგეთში. ჩვენ მივხვდებით, რომ გარემოება აუტანელი ხდება, საქმის ისე მსვლელობა არ შეიძლება. შორს აღარ არის ის დღე, როცა თანამედროვე საზოგადოებრივმა წყობილებამ ადგილი უნდა დაუთმოს ახალ წესს, ახალ გარემოებას, რომელიც გარდაჰქმნის საკუთრების და მიწის დამუშავების წყობილებას. მაშინ გლეხი „საზოგადოების ნაძირალა“ აღარ იქნება, ის ღირსეულ ალაგს დაიპყრობს ცხოვრების და პროგრესსის ასპარეზზედ. მაშინ სოფელი უმეცრების ბუნაგს თავს დაიღწევს და ბედნიერების და კეთილ დღეობის შუქს მოჰფენს მთელ ქვეყანას. ვ. თ.

(შემდეგი იქნება)

ბის ჯურღმულში იყო მიმალული. საკმაოდ გაჩნდნენ ისეთი ახალგაზდა კაცები, რომელნიც „მეთაურობას“ ჩემულობენ და ამავე დროს თავისი შთამომავლობით, თავისი **გლეხიშვილობით** ამაყობენ.

ჩემის აზრით ამ ახალგაზდებისა და თავადი ან აზნაურიშვილობით თავ-მომწონე წარჩინებულ სულდგმულთა შორის არავითარი გარჩევაარ არის. ვეცდები ჩემი აზრი შეძლებისამებრ დავასაბუთო. რა არის აზნაურ-თავადიშვილობა, თუ არ ისეთი შემთხვევითი ღირსება, რომელიც უშრომლად, დაუმსახურებლად მხოლოდ დღევანდელი სასტიკი წესწყობილების ძალით მიანიჭეს მშობლებმა, თავადებმა ან აზნაურებმა, თავიანთ შობილთ. დღევანდელ „მეთაურ“ ახალგაზდებს შორისაც საკმაოდ არიან ისეთები, რომელთა პირადი ღირსება ჩალის ფასად აიწონება და მხოლოდ იმით ამაყობენ, რაც უშრომლად, დაუმსახურებლად ერგოთ: თავიანთი გლეხიშვილობით.

ადამიანი იმით კი არ დაფასდება ამ წუთი სოფელში, თუ რომელმა საშომ შვა იგი—გლეხისათუ თავადის ქალისამ—ეს ხომ ბუნების სტიქიური კანონია,—არამედ იმით, თუ თვითონ იგი რა ძალას წარმოადგენს ამ წუთი სოფელში, რა ახალი აზრი შემოუტანია ჩვენ ცხოვრებაში, რა ამბის მახარობელია.

აზროვნება ამა თუ იმ წოდებისთვის მუქთად მინიჭებული განსაკუთრებული უფლება, ეგრედ წოდებული „პრივილეგია“ კი არ არის, არამედ საზოგადოდ ადამიანთა უმაღლესი ნიჭის—იმისი გონების ნაყოფია.

გლეხიშვილობით თავმომწონე ახალგაზდები ისეთივე შურისა და განხეთქილების მთესავნი არიან კაცთა შორის, როგორც არისტოკრატიზმით მოამაყე თავადნი და აზნაურნი. ჩვენ ძარღვებში ნამდვილი წითელი სისხლი სდუღს,—ამბობენ პირველნი; ჩვენსაში კი გაწმენდილი ლურჯი სისხლი ტრიალებს,—გვაუწყებენ უკანასკნელნი და გვიმტკიცებენ მხოლოდ იმას, რომ მათი გონება, ადამიანის ნამდვილი ღირსება, უძარღვო და უსუსურია.

მინახავს წარჩინებულთა შორის ისეთები, რომელნიც მაღლიდან ქვევით, ძველთაგან ნაანდერძევი, არისტოკრატიული ზიზღით უცქერდნენ იმათზე ბევრად უფრო ჭკვიან და გონიერ ზოგიერთ გლეხებს; შევხვედრივარ დღევანდელ „დემოკრატებს“ შორისაც ისეთ გვამთ, რომელნიც აგრედვე ძველთაგან ნაანდერძევ მძულვარებით ეპყრობოდენ მათზე ბევრად უფრო ჭკვიან და გონიერ ზოგიერთ თავადსა ან აზნაურს. მძულვარება კი ისეთი შხამია, რომელიც ერთნაირად დაფასდება, გლეხის ღარიბ ფარაჯაშია იგი გამოხვეული თუ თავადის ძვირფას წამოსასხამში.

ავიღოთ ადამიანის უმაღლესი ნიჭი—იმისი ზნეობა, პატიოსნება, იმისი სინიდისის სიწმინდე. იგიც წოდების ჯილდო არ არას, არამედ ადამიანთა საერთო თვისებაა.

ამის უარყოფა ისევე შეუძლებელია, როგორც დღის სინათლის უარყოფა. საკმაოდ გვინახავს ისეთი დემოკრატები, რომელნიც დღევანდელმა მოძრაობამ წინ წამოსწია, აალაღა და სასირცხვილო ამპარტავნობით აღავსო მათი ყოფაქცევა, მიხვრა-მოხვრა, მიხვეულ-მოხვეული ოინები ბურჟუა-არისტოკრატებისას არაფერში არ ჩამოუვარდება და ამავე დროს ისინი თავიანთ „დემოკრატობით“ ამაყობენ.

დღევანდელი „დემოკრატების. „მძულვარება, პარტიული შხამი სამკეცდება, როცა მათ მოპირდაპირედ გამოდის სხვა პარტიის კაცი, ამავე დროს თავადი ან აზნაურიშვილი. მაშინ „დემოკრატების“ გულში სამკეცი ბოღმა სდუღს, თვალებდე ზიზღის ბნელი ლიბრი გადაეკვრის, შოლტ-ნაკრავ რაშივით ჰბორგავს და ჰიხვინებს, არავითარი საბუთი, გონიერი მსჯელობა იმის ყურთა სმენას არ ეკარება, თავიდან ფეხამდის იგი ცარიელი ზიზღი და შხამია.

ადამიანის ღირსების დაცემა, იმისი სასირცხო გათახსირება ამაზე შორს ვერ წავა.

სამწუხარო ფიქრები შეიპყრობს ამგვარ სურათის მაყურებელს.

ამას წინად ერთ ჩვენ პროვინციალურ ქალაქში მწარედ შეურაცხჰყვეს მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ყოვლად ღირსეული და პატივცემული კაცი. შეურაცხჰყო კრებაზე ერთმა ახალგაზდა ს.-დემოკრატმა ტლანქი, უშვერი სიტყვებით. მწერალი-„ფედერალისტი“ და აზნაურიშვილია და მას ხალხის სისხლის მსმელის სახელი უწოდა მოპირდაპირე ახალგაზდამ. ეს მწერალი „ფედერალისტი“ კი სიყრმიდან სიღარიბეშია აღზრდილი. ჯერ კიდევ გიმნაზიაში რომ სწავლობდა, ისეთი მწარე დღეები გამოუცდია, რომ იძულებული იყო ტყეში პანტა-ვაშლი ეძებნა და იმით მოეკლა შიმშილი. დღეს იგი თითქმის 50 წლის კაცია, ისევ სიღარიბეში სცხოვრობს, ძლივს იკვებება თავის ოჯახობით, მხოლოდ იმიტომ, რომ მსუქანი ლუკმის ხელში ჩაგდება კერპად არ გაუხდია, და ამისთანა კაცს ხალხის სისხლის მსმელი უწოდეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ფედერალისტი და აზნაურიშვილია.

ი. ნაკაშიძე.

წერილი სპარსეთიდან.

გაფიცვა თავრიზელებისა.

24 იანვარს საღამოზედ ერთბაშად დაიკეტა მთელ თავრიზში დუქნები. რა საკვირველია, ათი-ათასობით დუქნების დაკეტა და მოვაჭრეთა გუნდ-გუნდად სიარული მიიქცევდა არა-მოვაჭრეთა ყურადღებასაც. დაიწყო ხალხის დენა ანჯუმას საკრებულოსაკენ. ბინდობისას გავრცელდა ქალაქში ამბავი: თეირანიდან მოვიდა ცნობა, რომ შაჰს პარლამენტი დაუთხოვნია, რომ ორი დეპუტატი სიკვდილით დაუსჯია; რომ ერთ წარჩინებულ დეპუტატ-სეითისათვის წვერი მოუპარსვინებია. ამ ცნობას სხვა და სხვა ნაირად მეორე დღესაც იმეორებდნენ. მოვაჭრეთა დუქნების დაკეტვას მიუმატეს სახელოსნოების დაკეტვაც. რადგან სახელოსნოები მრავალი აქვთ სომხებს, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას არ იღებენ მოძრაობაში, წინადადება მისცეს, თქვენც შემოგვიერთდით გაფიცვაშიო. სახელოსნოები დაკეტეს, მაგრამ სადაც ხალხი თავს იყრიდა, იქ სომხებს ვერა ვხედავდი. ბაზარში იყიდებოდა მარტო ხორცი და პური. დუქნების გარედ გამოიტანეს ხილი, ნანადირევი და სოფლიდან ჩამოტანილი სანოვაგე.

ხალხი, დილის 8 საათიდან დაწყებული, იკრიბებოდა მეფის მოადგილის სამმართველოს ეზოში, სადაც სატელეგრაფო სადგური და იარაღის საწყობია მოთავსებული. თეირანში დეპეშა იყო გაგზავნილი, რომ ხალხი აღელვებულია, ბაზარი დაკეტილია, თხოულობს პარლამენტის ხელშეუხლებლობასაო. ამის პასუხს ელოდდა ხალხი, თანაც თვალქვეშ ჰქონდა იარაღის საწყობი, პასუხი-კი არ მოდიოდა. ამასთან ხალხი იკრიბებოდა თავ-თავის სამრევლო მეჩეთებში, სადაც ანჯუმასაგან ნაბეჭობს და მიღებულ რეზოლიუციებს აცნობებდნენ მოლები. პირველი დადგენილება ანჯუმასი და ბეჯითად გავრცელებული ხალხში იყო: **ქრისტიანის სისხლი არ უნდა დაიღვაროს, ვინც ქრისტიანის სისხლს დაღვრის, ის ხალხის მოღალატეა და მტარვალობის მომხრე.**

ათი ათასობით ხალხის მოძრაობა დაკეტილ ბაზარზედ ტელეგრაფის სადგურისაკენ და სადგურიდან მეჩეთებისაკენ არავითარ ხმაურობას, არავითარ უწესოებას არ იწვევდა. არც ერთ დროს შეჯგუფებულად არ დადიან: 4-6 კაცი მწკრივად მიდის, უკან საფენზედ მოშორებით სხვანი მიდიან. ისე არ შეჯგუფდებიან, რომ გავლა შეუძლებელი იყოს. ყველა ეს ხდება თავის თავად, მოწესრიგე არავინ არის. 26 იანვარს გავრცელდა ხმა, რომ თავრიზიდან გაგზავნილი დეპუტატი—სეითი, ბაქოზედ მომავალი, რეშტში გაუპარსვინებია გუბერნატორს შაჰის ბრძანებითაო*); რომ ამ სეითის ჯავრი სჭირდა აწინდელ შაჰისა, როცა იგი გალიტად იყო თავრიზში; რომ ხალხი აპირებს დაანგრიოს სახლები იმ დეპუტატებისა, რომელნიც აქედან წასულები თეირანში იყვნენ და ეს ბრძანება შაჰისა დროზედ არ შეატყობინეს მიმავალ სეითსაო.

28 იანვარმაც მშვიდობით გაიარა. ხოლო გაფიცვა გაფართოვდა. სასწავლებლები დაიკეტა, დამოჟნაში საქონლის მიღება და გაცემა აიკრძალა, ზარბაზნების საწყობი დაიბეჭდა და ანჯუმანის კარგულებაში გადავიდა. უკანასკნელის მიზეზი ხალხში გავრცელებული ხმა იყო, ვითომ ქ. თავრიზს მალე ზარბაზნებს ესროლენ შაჰის ბრძანებითაო.

29 იანვარს მეფის მოადგილემ მიწერეს სატელეგრაფო სიდგურში. მეფის მოადგილემ ეზოში მდგომ ხალხს მიჰმართა სიტყვით, რომელშიაც გამოსთქვა, რომ მე ტყუილად მომიწვიეთ, აქ არავითარი საქმე არ არის, როგორც გინდათ, ისე მოიქეცით, ჩემგან წინააღმდეგობა არ იქნებაო. მაგრამ შეიყვანეს სადგურში და მისცეს წინადადება, დაეწერა შაჰისთან დეპეშა: „სპარსეთის სახელმწიფო ოდესმე მთელ დედამიწას სწვდებოდა; იმის ძლიერებისაგან თრთოდნენ ყველა მეფენი, რომ ამისთანა ძლიერმა სახელმწიფომ ზედი-ზედ დაჰკარგა თავისი პროვინციები, იმიტომ რომ განაგებდნენ უგუნური და გარყვნილი მეფეები, რომლებიც ქვეყნის მტრების სიტყვას იჯერებდნენ და ქვეყნის მოკეთეებს-კი თავებს აყრევინებდნენ ან პალოებზედ აცვავდნენ; რომ დღეს ერთი ბეწო მიწაღა დარჩენია სახელმწიფოს და ამასაც დავკარგავთ, თუ შენც სხვა ჩვენ დამღუპელ მეფეთაებრ ქვეყნის მტრების სიტყვას აყვები, თუ შენც მათებრ ქვეყნის მოკეთეებს დაუწყებ დევნას; ჩვენ განმეორებით გიცხადებთ, რომ სხვას არ ვიცნობთ ქვეყნის მართველად თუ არ პარლამენტს, არ შევასრულებთ არავის ბრძანებას, თუ იგი შეთანხმებული არ იქნება პარლამენტთან, არ დავემორჩილებით არც ერთ კანონს, რომელიც პარლამენტის მიერ არ იქნება მიღებული“. მეფის მოადგილის მოწვევამდე ხალხს გამოცხადებული ჰქონდა, რომ ყველა გავრცელებული ხმები თეირანიდან მოსულ ამბებზედ ტყუილია; მართალი ის არის, რომ შაჰი არ იწყნარებს მეჯლისის დადგენილებებს და იმუქრება მეჯლისის დათხოვნასაო.

30 იანვარს მოვიდა თეირანიდან საპასუხო დეპეშა, რომლითაც შაჰი აღუთქვამდა ხალხს ყოველ მოთხოვნილების შესრულებას. 11 საათზე საბაყლო დუქნები უკვე გააღეს, საფართლო მაღაზიების გაღებასაც აპირებდნენ, რომ მოვიდა დეპეშა, ნუ დაიჯერებთ, პირველი დეპეშა ყალბიაო. ამან მთელ ბაზარს ერთად მოუყარა თავი. საღამოზე კიდევ მიიღეს მეორე დეპეშა შაჰისაგან, რომელშიაც განმეორებით აღუთქვამდა მოთხოვნათა დაკმაყოფილებას.

31 იანვრიდან მთელი ბაზარი ღიაა. ხალხს კმაყოფილება ეტყობა.

ხალხის მოძრაობის გარეგანი სახე მეტად თავისებურია და უცხოსათვის უცნაური.

ხალხი თავის უკმაყოფილებას არავითარ უწესოებით, ძალმომრეობით არა ხატავს; პირიქით ყოველ იმის ნაბიჯს ეტყობა გრძნობათა დამორჩილება და ნების გაბატონება, რაც გარეშე მაყურებელს ხასიათის სისუსტედ და შეუგნებლობად ეჩვენება.

ქრისტიანეთადმი უნდობლობა იქამდის ძლიერია ხალხში, რომ, თუ მოსიარულეთ საზოგადო სახალხო საქმეზედა აქვთ ბაასი და შენიშნეს მათ უკან მიმავალი ქრისტეანი, გაჩუმდებიან. ქრისტიანის ცნობა ძნელი არ არის, რადგან თათრები იცვამენ უეჭველად ნაციონალურ ტანსაცმელს. უნდობლობას თქმა არ უნდა, აქვს საფუძვლად მრავალი ისტორიული საბუთი წარსულში და უფრო მეტი აწმყოში ყოფილი ფაქტები.

კლასთა ბრძოლა და წოდებათა შორის უკმაყოფილება ჯერ-ჯერობით ნაციონალურ კალაპოტიდან არ გამოსულა. მიწის მუშაკის უკმაყოფილება მიწის პატრონის წინააღმდეგ იზომება საეროვნო და სარწმუნოების აღლით: თუ მიწის პატრონი მუსულმანია და მიწის მუშაკი ქრისტიანი, მართალი პატრონია და მტყუანი ქრისტიანი. ამისთანა შეხედულობის შედეგი იყო, რომ წარსულ 2 წლის განმავლობაში თავრიზიდან 20 ვერსზედ მდებარე სოფლების—ალჩამიულქ და სოილურ—მკვიდრნი 200 კომლი სომხობა იძულებული იყო საუკუნოებით შეჩვეულ ბინაზე, მამა-პაპათა სასაფლაოზედ ხელი აეღო და თავრიზში გადმოსახლებულიყო. ალჩამიულქის ეკკლესია უკვე მეჩითად იქმნა გადაკეთებული. ამავე დღეში არიან აწი სოფ. მუჟუმბარას მცხოვრებნი, რომელთაგან ზოგმა მაჰმადიანობა მიიღო, რომ შეენარჩუნებინა თავისი

---

*) სეითები—მაჰმადის ჩამომავალნი—წვერ ულვაშს არ იპარსავენ, როგორც ღვთისადმი შეწირულნი.

ბინა, ზოგი კი გადმოსახლდნენ და ზოგნიც აპირებენ გადმოსახლებას. კარგად დაკვირვება საქმისა მოწმობს, რომ უკმაყოფილება მიწის მფლობელთა და მიწის მუშათა შორის დაწყებულია, ხოლო ჯერ სარწმუნოება და ნაციონალიზმი ჩარეულ საქმეში და აკოწიწებს, რაც, რასაკვირველია, დიდის ხნობით თავს ვერ დაიჭერს. ჯერ ახლავე ანჯუმა ერიდება სოფლელთა საქმეში ჩაურიოს სარწმუნოებრივი ან ეროვნული შეხედულება. იყო მაგალითი, რომ მიწის მფლობელი თავი გაამტყუნა ქრისტიან სოფლელთა წინააღმდეგ. ახლა კიდე საყოველთაოდ განაცხადა, რომ სასტიკად მოეპყრობა ყველა მიწის მფლობელს, ვინც უნდა იყოს იგი, თუ შეავიწროვებს მიწის მუშაკს ახალი რომელიმე გადასახადით და ან სხვაფრივ. ეს დიდი ნაბიჯია და მეტად მნიშვნელოვანი.

თავრიზში და სხვა სამაზრო ქალაქებში ბოგანონი (პროლეტარნი) არიან, მაგრამ იგინი ჯერ კაპიტალს ერთად არ შეუყრია, ერთ ჰერ ქვეშ არ მოუთავსებია. სადაც კაპიტალს ბევრისათვის საქმე გაუჩენია, იქ მარტო ბავშვებისათვის მოუყრია თავი, რომ პატრონმა რაც შეიძლება მეტი მოგება ნახოს, როგორც მაგ. ხალიჩის საქსოვ ქარხნებში სულ ბავშვები არიან მომუშავენი. სრული წლოვანნი მამაკაცნი-კი ეტანებიან ყველანაირ შავ საქმეს, მაგრამ ესეც ვერ უშოვიათ. ამიტომ საერთო „საქმედ“ ქალაქების პროლეტარის მამაკაცებისა და დედაკაცებისაც მათხოვრობაა.

ყველა ამ პირობებს ხალხის შემადგენელი ელემენტები შეუერთებია, ეხლა საერთო იერიში მიაქვთ თვითმპყრობელობის გასანადგურებლად და საბოლოოდ დასამხობად. ფაქტიურად ზოგი რამ კიდეც განხორციელებულია: რადგან მთელ სახელმწიფოში შინაურ გამგებლობას ასრულებენ ანჯუმები. საჭიროა მხოლოდ მათი დაკანონება, კიდევ სოფლად მიწის გადაცემა სოფლის საზოგადოებისადმი, ქალაქად სავაჭრო საქმეთა სასტიკი მოწესრიგება და საფინანსო საქმეთა სასტიკი გაწესრიგება. თუ ეს მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილა ხალხმა, უზრუნველყოფილი იქმნება თავისებურ კულტურული ზრდა. მაგრამ ბევრსა აქვს ეჭვი პარლამენტის დღეგრძელობაზედ. ესენი ამბობენ: შაჰი და მისი თანამოაზრენი საბელს უთრევენ ხალხს დაპირებით, რომ თქვენ მოთხოვნილებას შევასრულებთო; ხალხს აძინებენ, თვითონ-კი ემზადებიან საბრძოლველად და ხალხს მეხივით დაეცემიან თავს; ისინი სუნიტებისაგან ჯარს ადგენენ. *) როცა საკმაოდ დარაზმავენ მათ, შემოუვლიან სათითაოდ ქალაქებს, დაიმორჩილებენ და ანჯუმების მაგიერ ისევ თავს კაცებს დააყენებენო. ხალხს რა შეუძლიან დარაზმულ, ნაწვრთნევ და კარგა შეიარაღებულ ჯარის წინააღმდეგ, მერე იმისთანა ჯარისა, რომლისათვისაც შიიტთა ელეტა-ხოცვა ცხონებად ეთვლებათო?

რასაც ახლა ვერ გაკეთებს პარლამენტი, მისი გაკეთება ყოველ წუთის გასვლით ძნელდებაო, ამიტომ ხალხს თუ უნდა რისამე გაკეთება, სანამ დრო აქვს და პირობები ხელს უწყობენ, უნდა გააკეთოს. შაჰი და თავისუფლება, შაჰი და დემოკრატიული მართველობა—ცეცხლი და წყალია, მათი ერთად მოთავსება თვით ალლაჰსაც არ შეუძლიან. ან ერთი უნდა იყოს ან მეორე. კონსტიტუციას შაჰის ცნება ვერ შეითვისებს. ახლანდელი შაჰი უფრო პატიოსნად იქცევა, რომ არა მალავს ამ შეუთვისებლობას. ხალხის გონებაში ჯერ არ შეპარულა ცნება, რომ უშაჰობა შესაძლებელია, რომ ხალხს შეუძლიან შეჰქმნას ძლიერი და მდიდარი სახელმწიფო უმეფოდ, რომ არის იმისთანა სახე მართველობისა, რომელსაც შაჰი არ ეჭირვება. ხალხს რა ეს ცნება შეგნებული ჰქონდეს, დღესვე განახლდებოდა მისი გამგებლობა, მკვიდრ საფუძვლებზე დამყარებული. ამის შეგნებას-კი ბევრნი ეღობებიან წინ, რადგან ამ შეგნებას იმისთანა რამე მოსდევს, რომელიც მათთვის საზარალოა. თუმცა ესენი მომხრენი არიან სახელმწიფოს აღორძინებისა, მაგრამ დაბალ ხალხის გათამამება, ადამიანურ უფლებებით მათ შემოსვას ვერ შერიგებიან. ამათი გასწორება და წარმართი მსვლელობა შეუძლებელია. საჭიროა ამათი მაგიერი; საჭიროა, რომ ამათი ადგილი სხვამ დაიჭიროს. ჩვენ რომ ისეთ მიმართულების, ისეთი მხნე და დაუღალავი მოქმედი პირები გვყვანდეს, როგორნიც რუსეთში არიან სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენელნი, ხალხს მცირე დროს შეაგნებინებდნენ სწორედ იმას, რაც ჭეშმარიტად სასარგებლო და აუცილებელია აღორძინებისათვის; სისრულეშიაც ცალე მოიყვანდნენ. მართალია, ამისთანა პირთა მოქმედებს დროს ბევრნი გადგებოდნენ განზე, გაირიყებოდნენ, მაგრამ მაგდენს ვერას გახდებოდნენო.

არიან იმისთანანიც, რომელთაც, როგორც მეთვრამეტე საუკუნის დამლევს ზოგიერთ ქართველებს, სწამთ, რომ ხსნა მარტო რუსეთს შეუძლიან და რაც ადრე გაიყოფა სპარსეთი რუსეთის გუბერნიებად ისა სჯობია. ამ აზრისანი არიან ისინი, ვისაც რუსეთთან ვაჭრობით დიდი სარგებლობა აქვს და მუდამ დღე მისი ჯიბეები განზე იწევენ.

გაფიცვების გამო მოსაზრებანი ზოგიერთა თავრიზელთა იმიტომ მოვიყვანე, რომ მკითხველს სრული წარმოდგენა ჰქონდეს აქაურ მოძრაობისა აბსოლიუტიზმის წინააღმდეგ.

სპარსეთის განაპირა ადგილებში, სადაც მეზობლად არიან სუნიტები და შიტები, ხშირია დაცემა, ერთი მეორის აკლება, ელეტა-ხოცვა, მაგრამ მკითხველს ამისთანა ამბებით შინაც მობეზრებული აქვს თავი და ამიტომ მეც ვდუმვარ.

აჯი-მირზა

*) სპარსეთის განაპირა ადგილებში სხოვრობენ თურქმენები და სხვა თემის ხალხი, რომელნიც, როგორც ოსმალონი, აღიარებენ მაჰმადიანობას და უარს ჰყოფენ შარიათსა, სუნიტები დაუძინებელი მტრები არიან შიიტთა.

მედიატორეთა დადგენილება

(ს. ბერძნიშვილის და ვ. ბულაძის შესახებ)

1907 წ. 31 იანვარსა, ჩვენ, მედიატორეებმა, მოვისმინეთ-რა ორივე მხრის ჩვენება და ყოველი საბუთები და ბრალდებები განვიხილეთ, ამ დასკვნამდე მივედით: რაკი ვასო ბულაძე დაჰყ ბულებულა ამხანაგების მიერ ანგარიშსა და სრულად გასწორებული წასულა, ცხადია ამის შემდეგ რაიმე დავის ატეხა ანგარიშის შესახებ უსაბუთოა და ყოველ აზრს და მნიშვნელობას მოკლებულია.

ამიტომ უყურადღებოდ სტოვებენ მედიატორენი ვასო ბულაძის სამი თვის ჯამაგირის მოთხოვნას; მაგრამ შევდივართ რა მის კრიტიკულ მდგომარეობაში, რომელსაც წვრილშვილი ჰყავს შესანახი და ამასთანავე უსაქმოდ არის, ამიტომ მოვალეთ ვრაცხთ სიმონ ბერძნიშვილს დაიბრუნოს ნისიები და მასთან მისცეს ერთი თვის ჯამაგირი.

რაც შეეხება პოლიციის მოწვევას და სახლის გაჩხრეკას ეს დარჩეს მანამდე, სანამ სასამართლო თავის გამოძიებას დაათავებს, რის შემდეგაც გამოცხადდება შედეგი; ამასთანავე მიეცეს, თუ ვინიცობაა მოითხოვა თავისი იარაღები, იმავე ფასებში, რა ფასებშიაც არის აღებული.

თავმჯდომარე **ფ. ჭიჭინაძე.**

მედიატორენი
ი. გარსევანაშვილი.
ს. ბარსეგიანი.
ა. მაჭავარიანი.
ვ. მაჩაბელი.

დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 თებერვალი

ახალი მარგელანი. გუბერნატორის მოკვლის გამზრახველმა განაცხადა, ხერსონის გუბერნიის გლეხი იაკობ იაკოვლევი ვარო, სოც.-რევოლ. იგი საველე სამართალში მისცეს.

ბერლინი. რეიხსტაგი დიდის ამბით გახსნეს. ბიულოვმა იმპერატორს დაწერილი სეფე სიტყვა გადასცა. იმპერატორმა წაიკითხა. შემდეგ კანცლერმა რეიხსტაგი გახსნილად გამოაცხადა.

ხარბინი. ტუნჩიხის მახლობლად ოროჩონებმა (ხალხი ციმბირში) ბურიატს ციმპილოვს 500 ცხენი წართვეს. ციმპილოვის თხოვნით გაგზავნილი ყაზახების რაზმში გზაზე ჩინელების ჯარის კაცთა შეხვედა. რაზმს აფიცერი მიუძღოდა, რაზმს რომელიც რუსეს მტრულის თვალით უყურებდა. ყაზახები ოროჩინებს შეებნენ; 8 კაცი მოჰკლეს და 97 ცხენი დააგდებინეს.

მინსკი. ტუკერმანის კანტორაში 4 საათზე ორი უცნობი შევიდა. იმათ განაცხადეს, რომ ყუმბარა უნდა გადავაგდოთო. მერე პატრუქს მოუკიდეს და გაიქცნენ. უკან მიმავალი იქვე მოკლული იქმნა; მეორე გაიქცა. იმას შემთხვევით მიმავალმა უბნის ზედამხედველმა ესროლა, მაგრამ ვერ მოარტყა. ყუმბარა აფეთქდა. მეეტლე და კანტორის დარაჯი მსუბუქად დაიჭრნენ. ოთახის მოწყობილება სულ დაღეწა, შუშები და კარები ჩაიმტვრა. მოკლული შუა ხნის კაცია. მუშის ტანისამოსი აცვია, ებრაელია.

ვაშინგტონი იაპონელთა ემიგრაციის საკითხის შესახებ მთავრობა მოლაპარაკების განგრძობას სცდილობს. მოსალოდნელია, რომ იაპონია ბოლოს და ბოლოს კულიებს (მუშებს) პასპორტს არ მისცეს. ხელ-მოწერის შემდეგ მთავრობა ნათსადგურის უფროსადმი ინსტრუქციას გამოსცემს, რომლის ძალითაც უცხოელების გადმოსახლება განსაზღვრული იქნება. იაპონელები კერძოდ იქმნებიან მოხსენებულნი. ეს ინსტრუქცია ალბად კალიფორნიელებს დააკმაყოფილებს. რუზველტის და სან-ფრანციასკოს მთავრობის შეთანხმებით, 16 წლის ზე ახალგაზდა უცხოელი, რომელიც ინგლისურად ლაპარაკობს, საზოგადო სკოლებში მიღებული იქმნება. უცხოელებს კი, რომელნიც ინგლისურად ვერ ლაპარაკობენ, ცალკე სკოლებს გაუხსნიან.

ნეტერბურგი. გაზ. „ტელეგრაფი“-ს 28 იანვრის ნომერში მოხსენებული იყო, რომ 1899 - 1905 წლამდე პორტ-არტურის შესაიარაღებლად და გასამაგრებლად 30 მილიონი დაიხარჯაო. ეს ცნობა მართალი არაა. დაიხარჯა სულ 13,400,000 მანეთი.

პეტერბურგი მოსკოვში ბუკოვის ვიწრო ქუჩაზე გაძარცვეს მოქალაქე ლეკხანოვი, წაართვეს 1800 მანეთი და ორი ფასიანი ბილეთი. კოზლოვში მოჰკლეს ზეინკალი მედვედევი, წაართვეს 200 მანეთი. მძარცველები მიიმალნენ.

ლონდონი საზოგადოებათა პალატაში რეხსმენმა შეკითხვაზე უპასუხა, რომ მიღებული ცნობებით, სპარსეთის მეჯლისმა შაჰის უფლების შეკვეცის და მინისტრთა პასუხის მგებლობის ფორმალურად დადასტურება მოითხოვა. შაჰმა შეასრულა. ინგლისის მთავრობა სპარსეთის შინაურ საქმეებში გარევას საჭიროდ არ ჰხედავს.

პეტერბურგი. საზოგადოებათა ნება დამართველმა საკრებულომ გრადონაჩალნიკის თავმჯდომარეობით არ შეიწყნარა დემ. რეფორმათა პარტიის ლეგალიზაცია. მიზეზად საკრებულომ ის დაასახელა, რომ არ არის აღნიშნული წევრების გასვლის წეს რიგი, საწევრო ფული და სხ.

რედაქტორ-გამომცემელი
ივ. ი. მჭედლიშვილი.

განცხადებანი

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდად

არითმეტიკული

კრებული ნაწ. II-ე

ე. ხრამელაშვილისა. ფასი ორი აბაზი—ნარდათ მყიდველებს 20% დაეთმობა აქვე I ნაწილი კრებულისა, ყდით 30 კაპ.

მისამართი, ტფილისი წიგნის მაღაზია „ცოდნა“.

(10—522—3) **ზოსიკო მერკვილაძესთან.**

ქუთაისში
თესლეულობის
კანტორა

კიწმარიშვილისა და ამხ.-სა, ბალახვანის ქუჩა, გუგუშვილის სახლში, სადაც შეიძლება შეძენა: იონჯის, კოინდრისა, სამყურის, პურის, ეკლის ხის, ბეოლის, ლახანის და ყოველ-გვარი ბოსტნეულობის და ყვავილების თესლეულობისა. პრეისკურანტები მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ. (12—6)

ტფილისის სამეურნეო საურთიერთოდ ნდობის საზოგადოების
გამგეობა

აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ კვირას, 25 თებერვალს, დილის 10 საათზედ, საზოგადოების სადგომში დანიშნულია წლიური მორიგი საზოგადო კრება.

განსახილველი საგნებია:

1. მოხსენება საბჭოსი 1906 წლის ანგარიშისათვის.
2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამავე ანგარიშისათვის.
3. ანგარიში 1906 წლისა.
4. ხარჯთ-აღრიცხვა 1907 წლისათვის.
5. მოხსენება საბჭოსი სათადარიგო თანხისათვის.
6. არჩევნები დირექტორისა გ. ყიფშიძის მაგიერ, რომელსაც ვადა უთავდება, საბჭოს სამის წევრის გარდაცვალებულის ნ. ხიზანაშვილის მაგიერ და ნ. ალექსიმესხიშვილის და ვ. სულხანიშვილის მაგიერ, რომელთაც გაუთავდათ ვადა, სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და სამის მათის კანდიდატისა. (1—ნ.—1)

ტფილისის სამარნი კასის საზოგადოებ.
კრება

კვირას 11 თებერვალს დილის 11 საათზედ **დანიშნულია ტფილისის სამარნი კასის საზოგადოების კრება** ტფილისის საქალაქო ბანკის დარბაზში. ფრეილინის ქუჩაზე.

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა) განვლილ ორი 1905 და 1906 წლის ანგარიში.

ბ) ორი გამგეობისა და სამი სარევიზიო კომისიის წევრებისა და მათი ნაცვლების არჩევა.

გ) გამგეობის მოხსენება: წევრთა ხვედრი გარდასახადის დაგვიანების შესახებ.

დ) გარიცხული წევრების ხელ-ახლა მიღების შესახებ.

ე) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1907 წლისათვის და კასის სხვა და სხვა საჭიროების შესახებ.

თუ ვინიცობაა 11 თებერვალს არ მოგროვდა კანონიერი რიცხვი წევრებისა, მაშინ მეორე და უკანასკნელი კრება დანიშნული იქმნება კვირას 18 თებერვალს. რამდენი წევრიც უნდა დაესწროს მეორე კრებას, მაინც კანონიერად ჩაითვლება.

ი. ნ. მერკვილაძე,
შიო ქუჩუკაშვილი.
ნიკო ბერიშვილი.

გამგეობის წევრნი
(4—521—2)

ვამოვიდა და დარიგდა ვასაყიდად
ახალი ქართული წიგნი
მარქსიზმის შესახებ

ნ. მაქსიმოვისა, თარგმანი რ. ჯ—დრისა.

ფასი 10 კაპ.

ნამდვილი კახური ღვინო



ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენი. (100—20)

კბილის საექიმოს სკოლა ლ. შტრეიხერისა

გადვიდა ერევნის მოედანზე (ბუშკინის ქუჩა, № 3), საკრედიტო საზოგადოების სახლში.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 7-მდე. კვირაობით დილის 9 საათიდან 1-მდე. ფასი შემდეგის ნიხრით: რჩევისათვის ან კბილის ამოღებისათვის (ძირისა)—20 კაპ.; პლომბა 50 კაპეიკიდან; ხელოვნურ კბილის ჩაყენება—3 მანეთი თითო კბილის სადოსტაქრო აპერაციებსაც აკეთებენ. (100—64)

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

ავრეთვე მსწრაფლ-მავლები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების **საუკეთესო** მაღაზიებში.

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ

ᲡᲐᲤᲐᲒᲠᲘᲙᲝ ᲜᲘᲨᲐᲜᲡ

ნარდად გაყიდვა

საავადმყოფო სახლის „**ᲚᲔᲝᲞᲝᲚᲓ ᲜᲔᲘᲨᲔᲚᲚᲔᲠ**“-ის

საქონლისა სწარმოებს ერევნის მოედანზე. ტელეფონი № 40 იქნება მრავლად

ᲤᲧᲐᲕᲔᲣᲚᲝᲑᲐ

რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. (96—ნ.—50)

სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.